რადიო პირველი არხის ახალი საეთერო სეზონისთვის
გადაცემების შერჩევის პროცედურის აღწერა

1TV.GE

საზოგადოებრივი მაუწყებელი რადიო პირველი არხის 2018-2019 წლების საეთერო სეზონისთვის გადაცემების შესარჩევად აცხადებს კონკურსს

შემდეგ მიმართულებებზე:

- ორიგინალური რადიო იდეა
- შემეცნება - განათლება
- კულტურა
- გართობა-შემეცნება

კონკურსის მიზანია, შეირჩეს მაღალი ხარისხის რადიოპროდუქცია, რომელიც დააკმაყოფილებს მაუწყებლის აუდიტორიის ინტერესებს და შესაბამისობაში იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებთან.

2018-2019 წლების სამაუწყებლო სეზონისთვის პროექტების შერჩევისას ვხელმძღვანელობთ მაუწყებლობის შესახებ კანონში გაწერილი შინაარსობრივი ვალდებულებების შესაბამისად და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით. https://1tv.ge/document/sazogadoebrivi-mauwyeblis-2018-2021-wlebis-programuli-prioritetebi/

შემუშავდა რადიო პირველი არხის სამაუწყებლო ბადე, დადგინდა ეთერში გასვლის პერიოდულობა, ქრონომეტრაჟი და ეთერში გასვლის საორიენტაციო დრო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე ხსნის სივრცეს ორიგინალური იდეებისთვის, სადაც ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება წარმოადგინოს საკუთარი პროექტი. პროექტების თემატიკა და ფორმატი შეუზღუდავია.

პროექტების შესარჩევად განაცხადები მიიღება შემდეგ მიმართულებებზე:

შენი რადიო იდეა

- **მიმართულება:** შენი რადიო-იდეა პირველზე
- **ჟანრი:** თავისუფალი
- **პერიოდულობა:** თავისუფალი
- **ქრონომეტრაჟი:** თავისუფალი
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** თავისუფალი

შემეცნება - განათლება

- **მიმართულება:** სამომხმარებლო
- **პერიოდულობა:** სამუშაო დღეები
- **ქრონომეტრაჟი:** ერთსაათიანი ზოლი (13:00-14:00)
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** სამომხმარებლო კონსულტაცია; სამართლებრივი კონსულტაცია; სოფლის მეურნეობა და მებაღეობა; კონსულტაცია განათლებისა და დასაქმების სფეროში.
- **მიზანი:** აუდიტორიისთვის პრაქტიკული, გამოყენებითი ინფორმაციის მიწოდება.
- **მიზნობრივი აუდიტორია:** საზოგადოებრივად აქტიური, პირადი ხასიათის საკითხების მოგვარებით დაინტერესებული ადამიანები. ასაკი: 25+

კულტურა

- **მიმართულება:** კულტურა /თეატრი
- **პერიოდულობა:** კვირაში ერთხელ
- **ქრონომეტრაჟი:** ერთსაათიანი ზოლი (18:00-19:00)
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** თეატრალური კრიტიკა, სიახლეები და თეატრის ისტორია (რადიოს ოქროს ფონდის გამოყენებით)
- **მიზანი:** თეატრის პოპულარიზაცია, ფართო აუდიტორიისთვის თეატრალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიწოდება.
- **მიზნობრივი აუდიტორია:** ფართო აუდიტორია, თეატრის მოყვარულები ასაკი: 35+

გართობა - შემეცნება

- **მიმართულება:** ჯანსაღი ცხოვრება
- **პერიოდულობა:** სამუშაო დღეები
- **ქრონომეტრაჟი:** ერთსაათიანი ზოლი (11:00-12:00)
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** ჯანმრთელობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი
- **მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.
- **მიზნობრივი აუდიტორია:** ფართო აუდიტორია, რომლებსაც სჭირდებათ ინფორმაცია, დასვენება და გართობა. ასაკი: 35+

- **მიმართულება:** გართობა/მუსიკა
- **პერიოდულობა:** სამუშაო დღეები
- **ქრონომეტრაჟი:** ორსაათიანი ზოლი (15:00-17:00)
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** გადაცემა სხვადასხვა მუსიკალურ მიმდინარეობაზე, მუსიკის სფეროს სიახლეებსა და აქტუალურ თემებზე.
- **მიზანი:** საქართველოსა და მსოფლიოში მუსიკის ყველა ჟანრში მიმდინარე მოვლენების მიწოდება პოპულარულ ენაზე, რომელიც გათვლილი იქნება აუდიტორიის ფართო სპექტრზე.
- **მიზნობრივი აუდიტორია:** სხვადასხვა ჟანრის მუსიკის მოყვარულები, რომლებსაც სჭირდებათ ინფორმაცია და გარკვეული ორიენტირება მუსიკალური ცხოვრების სიახლეებში და სასიამოვნო მუსიკის მოსმენა. ასაკი: 35+

- **მიმართულება:** გართობა/დილა
- **პერიოდულობა:** კვირაში ორჯერ
- **ქრონომეტრაჟი:** ორსაათიანი ზოლი (08:00 -10:00)
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** შაბათ-კვირის დილის მრავალპროფილიანი გადაცემა, რომელიც გაჯერებული იქნება მსუბუქი თემებით, პოპულარული მუსიკით, მიმდინარე ამბებით, კულტურის სიახლეებით.
- **მიზანი:** ინფორმირება, გართობა - დასვენება.
- **მიზნობრივი აუდიტორია:** ფართო აუდიტორია. გადაცემის ერთ-ერთი სეგმენტი ორიენტირებულია რეგიონულ აუდიტორიაზე (ფერმერები, აგროსამრეწველო სფეროს წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის ბიზნესში ჩართული ადამიანები და სააგარაკო მეურნეობის მფლობელები) ასაკი : 35 +

- **მიმართულება:** შემეცნება/მუსიკა
- **პერიოდულობა:** კვირაში ორჯერ
- **ქრონომეტრაჟი:** საათნახევრიანი ზოლი (23:00 - 00:30)
- **ეთერში გასვლის ხანგრძლივობა:** 7 თვე
- **თემატიკა:** მსოფლიოს მუსიკის ისტორია, სხვადასხვა კუთხეში არსებული მუსიკალური მოვლენები, განსხვავებული კულტურული წარმომავლობის მუსიკა, ჟანრები.
- **მიზანი:** მსმენელის მუსიკალური გემოვნებისა და თვალსაწიერის გაზრდა, გართობა - დასვენება.
- **მიზნობრივი აუდიტორია:** მუსიკის მოყვარულების ფართო აუდიტორია. ასაკი : 35+

პროექტების წარმოდგენა ხორციელდება ელექტრონული სახით. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ აპლიკაცია შემდეგ ბმულზე: http://projects.1tv.ge/radioproject

შერჩევის პროცესში უპირატესობა მიენიჭება მულტიმედიურ და ინოვაციურ პროექტებს.

გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა შესარჩევი კომისია, რომელიც არჩევს და რეკომენდაციას აძლევს პროექტს. კომისიის მუშაობის პროცესში წევრების მიერ პროექტების შეფასების მონაცემები კონფიდენციალურია.

პროექტების შეფასება ხორციელდება სამ ეტაპად

ეტაპი 1

პირველ ეტაპზე კომისიის წევრები აფასებენ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას და ხარისხს:

- გადაცემის სინოფსისი/ანოტაცია (არაუმეტეს 500 სიტყვისა)
- გადაცემის სტრუქტურა, სეგმენტები და რუბრიკები
- ერთი გადაცემის სცენარი
- სავარაუდო თემების სია
- საწარმოო ციკლის აღწერა (დროში გაწერილი)
- ტექნიკური რესურსი
- ხარჯთაღრიცხვა
- მუსიკალური ფორმატი (საჭიროების შემთხვევაში)

ეტაპი 2

მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატები მოწვეულნი იქნებიან პროექტების საპრეზენტაციოდ. გასაუბრებაში გადაცემის წამყვანების მონაწილეობა სავალდებულოა (დასაშვებია ონლაინ ჩართვა).

ეტაპი 3

შერჩევის მესამე ეტაპზე გადასული კანდიდატები წარმოადგენენ პროექტის პილოტს.
საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებელი მონაწილეს დაეხმარება აუცილებელი რესურსით.

გადაცემის პილოტის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ფორმატთან შესაბამისობა
- თანადროულობა
- თემის მიწოდების ფორმა
- კვალიფიკაცია
- აქტუალურობა
- ორიგინალურობა
- მუსიკალური გაფორმება
- ხმა
- მეტყველება
- დახვეწილი სამაუწყებლო ენა
- ქარიზმატულობა

კომისია საუკეთესოდ დასახელებული პროექტების განხორციელების რეკომენდაციას აძლევს გენერალურ დირექტორს.

პროექტების შერჩევის წინამდებარე პროცედურა დამტკიცდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე.